

პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამების კატალოგი

ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტი“

2025 წელი

თემები

1.კოლეჯის ისტორია

2. კოლეჯის ლოკაციები

- ოზურგეთის ლოკაცია
- ჩოხატაურის ლოკაცია
- ლანჩხუთის ლოკაცია

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

- სადიპლომო გრძელვადიანი პროგრამები
- მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები

4. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები და პარტნიორ კომპანიებთან თანამშრომლობა

5. კოლეჯის მისია, ხედვა და დევიზი

6.სტუდენტური სერვისები

2025 წელი

ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტი"-ს შესახებ

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი" ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა გურიის რეგიონში, რომელიც სამივე მუნიციპალიტეტში წარმატებით ოპერირებს და 1500 პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზეა გათვლილი.

კოლეჯის ძირითად ლოკაციაზე, **ოზურგეთში,** 2008 წლიდან ხორციელდება სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. 2021 წლიდან ,,ჰორიზონტმა" ფუნქციონირება დაიწყო ჩოხატაურში, **სოფელ გორაბერეჟოულის** სასწავლო ფართზე, ძირითადად სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, ხოლო 2023 წლიდან ფუნქციონირებს **ლანჩხუთის მრავალდარგოვანი ლოკაცია.** ძირითადი მიმართულებებია:

1. ტურიზმი
2. მომსახურებები
3. ინჟინერია
4. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები
5. სოფლის მეურნეობა
6. განათლება
7. ბიზნესი
8.

კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის დასაწყისი

კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის ისტორია იწყება ჯერ კიდევ 1967 წლიდან, როდესაც დაფუძნდა მახარაძის N53 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ქალაქ ოზურგეთში. 1989 წლიდან სასწავლებელს ეწოდა ოზურგეთის N53 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. 2005 წელს კი სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა ოზურგეთის პროფესიული ლიცეუმი. პროფესიული განათლების რეფორმის პირობებში 2007 წელს ლიცეუმის რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა სსიპ ოზურგეთის პროფესიული სწავლების ცენტრი, რომლის ბაზაზეც 2011 წელს დაფუძნდა ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი". პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი", რომლის რეორგანიზაციის შედეგად 2012 წლის აპრილში დაფუძნდა **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი** კოლეჯი ,,ჰორიზონტი" და დღეს სწორედ ამ სამართლებრივი ფორმის ფარგლებში ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას.

კოლეჯში სტუდენტების პროფესიულ განვითარებასა და უნარების გაღრმავებაზე ზრუნავენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები. სასურველ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება პროფესიული ტესტირებისა და მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე. კოლეჯის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს **კურსდამთავრებულთა დასაქმების** მიმართულებით. ბოლო სამი წლის მონაცემებით დასაქმების საშუალო მაჩვენებელი 80%-ია.

სასწავლო პროგრამების დანერგვა კოლეჯში კერძო სექტორის მოთხოვნებისა და მუნიციპალიტეტების სტრატეგიული განვითარების გეგმის გათვალისწინებით ხდება. ჩოხატაურის ლოკაციაზე, ძირითადად მიმდინარეობს პროგრამები **სოფლის მეურნეობის** მიმართულებით. რაც შეეხება **ლანჩხუთის ლოკაციას,** მისი მშენებლობა 2022 წელს დასრულდა და პირველ ნაკადი კოლეჯმა 2023 წლის შემოდგომაზე, 7 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღო.

კოლეჯი ,,ჰორიზონტი"-ს სამივე ლოკაცია აღჭურვილია **უახლესი სტანდარტების** შესაბამისი სასწავლო ინვენტარითა და თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. კოლეჯის გუნდი დაკომპლექტებულია კვალიფიციური, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლებითა და ადმინისტრაციული პერსონალით.

კოლეჯი ,,ჰორიზონტი" ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე ყველაზე მოთხოვნად და მაღალანაზღაურებად გრძელვადიან **სადიპლომო** პროფესიულ პროგრამებს:

ოზურგეთის ლოკაცია:

- ინფორმაციის ტექნოლოგია - III დონე
- ინფორმაციის ტექნოლოგია - III დონე (დუალური)
- მოდის ტექნოლოგია და დიზაინი - IV დონე
- ელექტროობა - III დონე
- თმის მომსახურება - III დონე
- ვიზაჟის მომსახურება - III დონე
- საფინანსო სერვისები - III დონე
- კულინარიის ხელოვნება - III დონე
- ბუღალტრული აღრიცხვა - V დონე
- სკოლამდელი აღზრდა - V დონე
- სარესტორნო მომსახურება - IV დონე ინტეგრირებული
- სასტუმროს მომსახურება - IV დონე ინტეგრირებული
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები - IV დონე ინტეგრირებული
- ელექტროობა - IV დონე ინტეგრირებული
- ბაღის დიზაინი - IV დონე ინტეგრირებული

ჩოხატაურის ლოკაცია:

- კომპიუტერული ქსელი და სისტემები - IV დონე ინტეგრირებული
- ბაღის დიზაინი - IV დონე ინტეგრირებული
- მებაღეობა - IV დონე
- მეხილეობა - IV დონე
- სატყეო საქმე - IV დონე
- ბუღალტრული აღრიცხვა - V დონე
- სკოლამდელი აღზრდა - V დონე

ლანჩხუთის ლოკაცია:

- მოდის ტექნოლოგია და დიზაინი - III დონე
- ელექტროობა - III დონე
- თმის მომსახურება - III დონე
- ბუღალტრული აღრიცხვა - V დონე
- სკოლამდელი აღზრდა - V დონე
- სასტუმროს მომსახურება - IV დონე ინტეგრირებული
- ვებ-ტექნოლოგიები - IV დონე ინტეგრირებული

ყველა პროფესიული პროგრამა შედგება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებისგან, რაც სტუდენტებს აძლევს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას. ეს ყველაფერი პროფესიულ სტუდენტებს ეხმარება შეძენილი უნარების განვითარებაში და კონკურენტუნარიან, კვალიფიციურ, შრომის ბაზარზე მოთხოვნად კადრად ჩამოყალიბებაში.

გრძელვადიან პროგრამებთან ერთად ,,ჰორიზონტი" წარმატებით ახორციელებს მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამებს, რითაც ზრუნავს ზრდასრულთა უნარების განახლებასა და მათი კომპეტენციების განვითარებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ,,ჰორიზონტი" ავტორიზებულია 21 მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროფესიულ პროგრამაზე. მოკლევადიანი პროგრამების ასეთი

მრავალფეროვანი არჩევანი ნამდვილად გამოარჩევს კოლეჯ ,,ჰორიზონტს" სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებისგან.

მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები:

ოზურგეთის ლოკაცია:

- ადმინისტრაციული პროცესები,დასუფთავება და უსაფრთოება სასტუმროში
- ბარის ორგანიზება
- გარე განათების ელექტრომემონტაჟე
- დისტანციური IT მხარდაჭერის სპეციალისტი
- ელექტროსამონტაჟო სამუშაოები
- თმის ღებვა და ქიმიური დამუშავება
- თმის შეჭრა და ვარცხნილობები
- კერძების მომზადება სხვადასხვა ტექნოლოგიური მეთოდით
- მაკიაჟის შესრულება და დერმოპიგმენტაცია
- პრაქტიკული ბუღალტერია - საბუღალტრო პროგრამა „ORIS"-ი
- სააღმზრდელო პროცესის წარმართვა და მეთოდოლოგია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
- საერთშორისო სამზარეულოს კერძების და მინი ნაწარმის მომზადება
- სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების მომსახურება
- სერვისი და სერვირება
- უსაფრთხოება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობა სკოლამდელ დაწესებულებაში
- ქალის მსუბუქი ტანსაცმლის მასალაში შესრულება

ჩოხატაურის ლოკაცია:

- ხეხილოვანი კულტურების დაცვა
- ღვინის დამზადება საოჯახო მარანში
- ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი
- ვენახის გაშენება-მოვლა

ლანჩხუთის ლოკაცია:

- ჩაის მასპინძელი

სტუდენტური სერვისები – წარმატებული სწავლებისა და განვითარების მხარდაჭერა

კოლეჯი „ჰორიზონტი" უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტური სერვისების სისტემის განვითარებასა და გამართულ ფუნქციონირებას, რაც სწავლის ხარისხთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტების კომფორტულ, უსაფრთხო და მოტივირებულ გარემოში სწავლას. სამივე ლოკაციაზე — ოზურგეთში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში— პროფესიულ სტუდენტებს თანაბრად ხელმისაწვდომი აქვთ ინფრასტრუქტურა და სერვისები, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ, პიროვნულ და სოციალური უნარების განვითარებას.

ახალგაზრდული კლუბი „ჰეკადემია" — სტუდენტური ინიციატივების სივრცე

კოლეჯში აქტიურად ფუნქციონირებს ახალგაზრდული კლუბი „ჰეკადემია", რომელიც დაფუძნდა ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ გამოცხადებული ექსტრაკურიკულური აქტივობების კონკურსის ფარგლებში. კლუბი გახდა პლატფორმა, სადაც პროფესიული სტუდენტები თავად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა სახის აქტივობებს — სემინარებს, თემატურ საღამოებს, კამპანიებს, სოციალური და გარემოსდაცვითი პროექტებს, სპორტულ ინიციატივებს და სხვა მრავალ საინტერესო წამოწყებას.

„ჰეკადემია" აძლიერებს პროფესიულ სტუდენტთა უნარებს და აღვივებს თანამონაწილეობაზე დაფუძნებულ გარემოს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე პროფესიული განათლების კონტექსტში.

ბიბლიოთეკა და სასწავლო რესურსები

კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო ლიტერატურით, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოიყენონ ელექტრონული რესურსებიც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოდულურ და პრაქტიკულ სწავლებაში.

სწავლებისა და დასვენების სივრცეები

კოლეჯის სამივე ლოკაციაზე მოწყობილია კეთილმოწყობილი საერთო სამუშაო სივრცეები, მოსასვენებელი კუთხეები და გარემო, რომელიც ხელს უწყობს როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ მუშაობას. ასევე ფუნქციონირებს ღია და დახურული საერთო სივრცეები შემოქმედებითი აქტივობებისთვის.

ინოვაციური ტექნიკა და აღჭურვილობა

სწავლების პროცესში გამოყენებულია თანამედროვე ტექნიკა და სპეციალიზებული აღჭურვილობა, რაც პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შანსს დაეუფლონ შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამის პრაქტიკულ უნარებს რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად დაახლოებულ პირობებში.

ქოუჩინგი, კარიერული მხარდაჭერა და სამოტივაციო შეხვედრები

კოლეჯი რეგულარულად გეგმავს პროფესიული ორიენტაციის შეხვედრებს, კარიერულ კონსულტაციებს და ქოუჩინგ სესიებს, რათა პროფესიულ სტუდენტებს შეუწყოს ხელი სწორად დაგეგმონ კარიერული გზები და აიმაღლონ მოტივაცია. მოწვეული სტუმრები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები უზიარებენ მათ გამოცდილებას ახალ თაობებს.

შემოქმედებითი და სპორტული აქტივობები

პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობები: თეატრალური, მუსიკალური და მულტიმედიური პროექტები, ასევე სპორტული კლუბები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს ჯანმრთელი და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების განვითარებას.

კოლეჯის სამივე ლოკაციაზე, ყოველწლიურად, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე 1500-მდე პროფესიულმა სტუდენტმა /მსმენელმა შეიძლება მიიღოს პროფესიული განათლება . კოლეჯს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული რეგიონის 100- ზე მეტ სხვადასხვა სფეროს დამსაქმებლებთან. ისინი აქტიურად არიან ჩართული პროგრამების შემუშავების პროცესში. დამსაქმებლები, საწარმოო პრაქტიკის/კოოპერაციული სწავლების/დუალური მიდგომით სწავლებისას , უზრუნველყოფენ პროფესიულ სტუდენტებს თავიანთ საწარმოებში ცოდნის და უნარების მიღებით და გაუმჯობესებით , რაც კურსდამთავრებულთა დასაქმების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები, ხარისხიანი სწავლება, აქტიური თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ის ძირითადი მიზეზებია, რის გამოც კოლეჯ ,,ჰორიზონტში" სწავლის მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

კოლეჯი ,,ჰორიზონტი"-ს მისია, ხედვა და დევიზი

მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის", როგორც გურიის რეგიონში ერთადერთი მრავალპროფილური პროფესიულ საგანმათლებლო დაწესებულების, მისიაა, თანამედროვე ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვით, მაღალკვალიფიციური პერსონალის და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროფესიისთვის აუცილებელი ცოდნის მიღებით და პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავების გზით უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რაც თითოეულ პროფესიულ სტუდენტს / მსმენელს მისცემს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის, კარიერული წინსვლის და დასაქმების საშუალებას, უზრუნველყოფს მათ პროფესიულ თვითრეალიზაციას და საზოგადოებაში დამკვიდრებას. რაც გურიის რეგიონის და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა

ხედვა

,,ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი"-ს მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია კოლეჯის ხედვა, რომლითაც ის განვითარებაზე ორიენტირებული შიდა სისტემის უზრუნველყოფით, პროფესიულ სტუდენტს/ მსმენელს სთავაზობს ხარისხიან განათლებას და უზრუნველყოფს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების მიწოდებას, კერძო-საჯარო და საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში.

2025-2031 წლებში კოლეჯი ,,ჰორიზონტი''- როგორც გურიის რეგიონში ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულების მრავალფეროვანი ახალი პრიორიტეტული პროფესიულ საგანმანათლებლო /მომზადება/გადამზადების პროგრამების დანერგვით სამივე მუნიციპალიტეტში(რომლმლებშიც პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კერები უკვე არსებობს) გახდეს დასავლეთ საქართველოში ლიდერი მრვალპროფილური პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულება .

ღირებულებები

- თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა;

- პროფესიონალიზმი;
- სიახლეებზე ორიენტირება, ინოვაცია;
- დამსაქმებლის აქტიური როლი სწავლებაში;
- შრომის ბაზრისა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობაზე ორიენტირება;
- ინკლუზიური მიდგომა და თანასწორობა;
- გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მართვა.
- სამართლიანობის დაცვა.

დევიზი:

აირჩიე პროფესია, შეიქმენი მომავალი!

სადიპლომო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

კულინარიის ხელოვნება (ოზურგეთის ლოკაცია)

პროგრამის სახელწოდება კულინარიის ხელოვნება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები 15 თვე, კრედიტი 95 (ქართული ენის მოდულით)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საბაზო განათლება

პროგრამის მიზანი პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი ტურიზმის , კერძოდ კი კულინარიის ხელოვნების მიმართულებით. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის სასტუმროსა და რესტორანში, როგორც დაბალი რგოლის თანამშრომლად, ისე საშუალო რგოლის პოზიციაზე, კერძოდ, ნებისმიერი ტიპის სასტუმროში, რესტორანსა და სხვა კვებისა და შინა მეურნეობებში, ობიექტებში, სადაც გეგმავენ, ორგანიზებას უკეთებენ და ამზადებენ საკვებს შემდეგ პოზიციებზე: სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი, მზარეულები, სამზარეულოში დამხმარეები.

სწავლის შედეგი პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება შემდეგი სამუშაოების შესრულება:

- განახორციელოს საკვები პროდუქტებისა და ნედლეულის პირველადი და მექანიკური დამუშავება
- განახორციელოს ნედლეულისა და პროდუქტის თერმული დამუშავება
- მოამზადოს მარტივი კერძები
- მოამზადოს ქართული სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები
- მოამზადოს საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები
- განსაზღვროს კერძის მოსამზადებლად საჭირო ნედლეულის რაოდენობა
- განახორციელოს პროდუქტისა და დამხმარე მასალების შეკვეთა და მიღება-განთავსება

- აღრიცხოს ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი.

სამკერვალო წარმოება (ხორციელდება ოზურგეთისა და ლანჩხუთის ლოკაციებზე)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - სამკერვალო წარმოება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში;
;

პროფესიულილ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია - შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების შესაძლებლობები

მოდის ტექნოლოგ-დიზაინერი შეიძლება დასაქმდეს: მოდის დიზაინის კომპანიებში, დიდი, საშუალო და მცირე სიმძლავრის სამკერვალო საწარმოებში ან/და იყოს თვითდასაქმებული (ინდივიდუალური კერვა; ინდივიდუალური მეწარმეობა; კერძო/მცირე ბიზნესი)

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

1 საბაზო განათლება;

.

სწავლის შედეგები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო ადგილის ორგანიზება და გაეცნოს მოდელს;
- შექმნას ესკიზი;
- შეარჩიოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალები;
- ტექნოლოგიურად დაამუშაოს სამკერვალო ნაწარმის დეტალები;
- გამოიყენოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი დამუშავების მოწყობილობები;
- ააგოს სამკერვალო ნაწარმის კონსტრუქციული ნახაზი;
- გამოჭრას და შეკეროს სამკერვალო ნაწარმი;
- გადააკეთოს ტანსაცმელი და აღადგინოს დაზიანებული უბნები;
- უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება

მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად **90 კრედიტის** დაგროვება .

- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობაა 99 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგძლივობა -25- თვე
- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობაა 90 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგძლივობა -19- თვე
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში პროგრამის მოცულობაა -150 კრედიტი,,ხოლო პროგრამის ხანგძლივობა 28--- თვე
- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში პროგრამის მოცულობაა -120 კრედიტი---, ხოლო პროგრამის ხანგძლივობა -22-- თვე

ელექტროობა(ხორციელდება ოზურგეთისა და ლანჩხუთის ლოკაციებზე)

პროგრამის სახელწოდება ელექტროობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები 10 თვე/ 69 კრედიტი (ქართული ენის მოდულით)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მინიმუმ საბაზო განათლება

პროგრამის მიზანი ელექტროობის პროგრამაზე სტუდენტი შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას.

მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგაყვანილობის სადისტრიბუციო ქსელების მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ენერგია შეისწავლის ენერგიის გენერირებას.

სწავლის შედეგი ელექტროობის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელ-ელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; და მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ.

პროგრამის **დასრულების** შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ჩაატაროს გაზომვითი სამუშაოები სხვადასხვა ტიპის ელექტროტექნიკურ მასალებზე
- გაზომოს ელექტრული ფუნქციების მახასიათებელი სიდიდეები
- შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები ნახაზის მიხედვით
- განახორციელოს მაღალი ძაბვის ეგხ-ის მშენებლობა და გაუწიოს მას მომსახურება
- დაამონტაჟოს ქვესადგურები და გაუწიოს მათ მომსახურება
- მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით
- წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით
- დააპროექტოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების სქემები და დაამონტაჟოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების აპარატურა
- გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულს.

თმის მომსახურება (ხორციელდება ოზურგეთისა და ლანჩხუთის ლოკაციებზე)

პროგრამის სახელწოდება თმის მომსახურება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები 12 თვე/ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მოიცავს მესამე დონის კვალიფიკაციის კომპეტენციებს. მოცემულია **4** ზოგადი მოდული ჯამური 11 კრედიტის რაოდენობით , საერთო პროფესიულ/დარგობრივი 7 მოდული ჯამური 22 კრედიტის ოდენობით და 7 დარგობრივი მოდული ჯამური 25 კრედიტის ოდენობით. სულ პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 58 კრედიტის ოდენობით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მინიმუმ საბაზო განათლება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, მოამზადოს ისეთი კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრი, რომელიც უზრუნველყოფს თმის მომსახურებას. **თმისა და სილამაზის მომსახურების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:**

შეჭრას თმა
- სუბსტრაქტული სქემით აფორმიროს ძირითადი ფერები;
- მოახდინოს პალიტრის კლასიფიცირება;
- შეღებოს და გააღიაოს თმა;
- შეასრულოს თმის ქიმიური დახვევა და გასწორება;
- შეასრულოს სხვადასხვა სახის ვარცხნილობები;
- შეასრულოს წვერ-ულვაშისა და ბაკენბარდების მოდელირება
- შეასრულოს თმის სპა პროცედურები.

საფინანსო სერვისები (ოზურგეთის ლოკაცია)

პროგრამის სახელწოდება საფინანსო სერვისები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები 10 თვე/ 73 კრედიტი (ქართული ენის მოდულით)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მინ ასაკი 17 წელი

პროგრამის მიზანი პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი საფინანსო სერვისების მიმართულებით. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის საფინანსო საქმიანობისა და მომსახურების დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, ორგანიზებისა და კონტროლის საკითხებს. პროგრამა ასევე მოიცავს ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და ინდივიდების საფინანსო რესურსების კონტროლსა და მონიტორინგს, კორპორაციებისა და ინდივიდების ფინანსური მომსახურების საკითხებს.

სწავლის შედეგი პროგრამის **დასრულების** შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში
- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში

- შეასრულოს სალარო და საბანკო ოპერაციები
- შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები
- ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

ინფორმაციის ტექნოლოგია (ოზურგეთის ლოკაცია)

პროგრამის სახელწოდება ინფორმაციის ტექნოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები 11 თვე/ 78 კრედიტი (ქართული ენის მოდულით)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მინიმუმ საბაზო განათლება

პროგრამის მიზანი პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი ინფორმაციის ტექნოლოგიის მიმართულებით. პროგრამის დასრულების შემდეგ კუსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიცი¬პალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

სწავლის შედეგი პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
- დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემა;
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები; შეძლოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

ინფორმაციის ტექნოლოგია დუალური (ოზურგეთის ლოკაცია)

პროგრამის სახელწოდება ინფორმაციის ტექნოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები 12 თვე/ 78 კრედიტი (ქართული ენის მოდულით)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მინიმუმ საბაზო განათლება

პროგრამის მიზანი პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი ინფორმაციის ტექნოლოგიის მიმართულებით. პროგრამის დასრულების შემდეგ კუსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიცი¬პალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

სწავლის შედეგი პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
- დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემა;
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები; შეძლოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

ვიზაჟის მომსახურება (ოზურგეთის ლოკაცია)

პროგრამის სახელწოდება ვიზაჟის მომსახურება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები 12 თვე, „ვიზაჟის მომსახურება" მოიცავს 4 ზოგად მოდულს - ჯამური 11კრედიტის მოცულობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 22 კრედიტის მოცულობით, 5 კონცენტრაციის მოდულს - ჯამური 21 კრედიტის მოცულობით; ვიზაჟის მომსახურების კონცენტრაციის გავლის შემთხვევაში პირმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს **54 კრედიტი.**

პროგრამის მიზანია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადოს ვიზაჟის მომსახურების სპეციალისტები.

სწავლის შედეგები ვიზაჟის მომსახურების კონცენტრაციისთვის:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- გააკეთოს წარბების კორექცია
- გააკეთოს წამწამების კორექცია
- შეარჩიოს/შეასრულოს მაკიაჟის ტიპი
- შეასრულოს საქორწინო მაკიაჟი
- შეასრულოს დეკოლტეს მაკიაჟი შეასრულოს გრიმი
- შეასრულოს თვალის ესთეტიკური დერმოპიგმენტაცია
- შეასრულოს წამწამის ესთეტიკური დერმოპიგმენტაცია შეასრულოს წარბის ესთეტიკური დერმოპიგმენტაცია
- შეასრულოს ტუჩის ესთეტიკური დერმოპიგმენტაცია.

ელექტროობა(ინტეგრირებული, ოზურგეთის ლოკაცია)

პროგრამის სახელწოდება ელექტროობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები 30 თვე/ 147 კრედიტი (ქართული ენის მოდულით)

პროგრამის მიზანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც ელექტროობის სფეროში მოამზადებს კონკურენტუნარიან კადრებს. ელექტროობის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელ-ელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების

მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; და მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ.

სწავლის შედეგი პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ჩაატაროს გაზომვითი სამუშაოები სხვადასხვა ტიპის ელექტროტექნიკურ მასალებზე
- გაზომოს ელექტრული ფუნქციების მახასიათებელი სიდიდეები
- შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები ნახაზის მიხედვით
- .განახორციელოს მაღალი ძაბვის ეგხ-ის მშენებლობა და გაუწიოს მას მომსახურება
- დაამონტაჟოს ქვესადგურები და გაუწიოს მათ მომსახურება
- მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით
- წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით
- დააპროექტოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების სქემები და დაამონტაჟოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების აპარატურა
- გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულს.

ბაღის დიზაინი, ინტეგრირებული (ხორციელდება ოზურგეთისა და ჩოხატაურის ლოკაციებზე)

პროგრამის სახელწოდება - ბაღის დიზაინი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები 30 თვე/ 160 კრედიტი (ქართული ენის მოდულით)

პროგრამის მიზანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც ელექტროობის სფეროში მოამზადებს კონკურენტუნარიან კადრებს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის მებაღეობის ტექნოლოგიებსა და მენეჯმენტს, მეყვავილეობას, სასათბურე მეთოდებს, სანერგეების მართვას, ლანდშაფტის მებაღეობასა და სხვა.

სწავლის შედეგი პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს როგორც ბაღის დიზაინერი და ბაღის დიზაინის გრაფიკოსი.

კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ შეეძლება:

- ჩაატაროს ბაღის აგროტექნიკური ღონისძიებები
- შეძლოს ნიადაგისა და მცენარეების იდენტიფიცირება
- დაადგინოს დეკორატიულ მცენარეთა მავნე ორგანიზმების სახეები
- შეასრულოს წინასაპროექტო სამუშაოები
- დაგეგმოს ბაღის საინჟინრო და მხატვრული ელემენტები
- კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით შექმნას ბაღის პროექტი.

კომპიუტერული ქსელი და სსიტემები, ინტეგრირებული (ხორციელდება ოზურგეთისა და ჩოხატაურის ლოკაციებზე)

პროგრამის სახელწოდება კომპიტერული ქსელი და სისტემები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში;

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები 30 თვე/

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" ითვალისწინებს: 2 ზოგად მოდულს ჯამურად 7კრედიტის მოცულობით, 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 80 კრედიტის მოცულობით.

კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 87 კრედიტის დაგროვება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

არაქართულენოვანი არაინტეგრირებული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობაა 117 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგძლივობა 25 თვე.

ქართულენოვანი არაინტეგრირებული პროფესიული სტუდენტებისთვის
პროგრამის მოცულობაა 87 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგძლივობა 19 თვე.

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში პროგრამის მოცულობაა 151 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგძლივობა 26 თვე.

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში პროგრამის მოცულობაა 117 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგძლივობა 20 თვე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია - შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" კურსდამთავრებულს შეუძლია:

- უზრუნველყოს პერსონალური კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული და პროგრამული მხარდაჭერა;
- იმუშაოს მობილურ და ლინუქს ოპერაციულ სისტემებთან;
- დაამონტაჟოს და გამართოს მცირე და საშუალო ზომის კომპიუტერული ქსელი;
- დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები;
- გამართოს ბაზისურად კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგია;
- უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელებში ბაზისური კომუტაცია და მარშუტიზაცია;
- გამართოს ბაზისურად VOIP ტელეფონია;
- გამართოს ბაზისურად Windows სერვერული ოპერაციული სისტემის და ქსელური სერვისები;
- გამართოს ბაზისურად Linux სერვერული ოპერაციული სისტემა;
- გამართოს ბაზისურად სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგია;
- გამოიყენოს Cloud პლატფორმები;
- უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.

სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული, ხორციელდება ოზურგეთისა და ლანჩხუთის ლოკაციებზე)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - სასტუმროს მომსახურება;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია - უზრუნველყოს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის სასტუმრო საქმის სპეციალისტების მომზადება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების შესაძლებლობები -
სასტუმრო საქმის სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს საოჯახო ტიპისა და მცირე ტიპის სასტუმროს მმართველად, ან ნებიმიერი ტიპის სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებაში (რესტორნით და რესტორნის გარეშე) მიღება-განთავსების, ჯავშნებისა და სამეურნეო განყოფილების სპეციალისტად.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება;

საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სწავლის შედეგები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმროს მომსახურების" კურსდამთავრებულს შეუძლია:

- უზრუნველყოს სასტუმროს პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვა;
- უზრუნველყოს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურები;
- უზრუნველყოს დასუფთავების მომსახურება;
- უზრუნველყოს კვებისა და სასმელების მომსახურება;
- უზრუნველყოს გაყიდვებისა და მარტივი მარკეტინგული საქმიანობის წარმართვა;
- უზრუნველყოს სასტუმროს უსაფრთხოება;
- უზრუნველყოს სასტუმროს პრობლემური სიტუაციების მართვა;
- უზრუნველყოს სასტუმროს მარაგებისა და შესყიდვების კონტროლი.





პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - სარესტორნო მომსახურება;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია - უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადებს სარესტორნო მომსახურების სპეციალისტებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის დონე

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - მეოთხე დონე**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების შესაძლებლობები -** რესტორნის სერვის-მენეჯერს შეუძლია დასაქმდეს რესტორნებში, კაფეებსა და საკვებით მობილური მომსახურების ობიექტებში შემდეგ პოზიციებზე: რესტორნის სერვის მენეჯერები, მიმტანები, სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება;

საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

სწავლის შედეგები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება" კურსდამთავრებულს შეუძლია:

- გაუწიოს კოორდინაცია რესტორნის ორგანიზაციული სტრუქტურისა და მისი ფუნქციონირების ძირითად პროცესებს
- უხელმძღვანელოს სერვისის გუნდს
- გაუწიოს ორგანიზება ღონისძიებასა და სერვისს
- მოემსახუროს სტუმარს
- გაუწიოს პოპულარიზაცია პროდუქციასა და მომსახურებას
- მართოს ფინანსური და საოპერაციო რესურსები
- დაიცვას მომსახურების სტანდარტები და ეთიკის ნორმები

- მართოს პრობლემური სიტუაციები
- დაიცვას უსაფრთხოების ნორმები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება", ითვალისწინებს: 3 ზოგად მოდულს, ჯამური 9 კრედიტის მოცულობით, 14 პროფესიულ მოდულს ჯამური 58 კრედიტის მოცულობით და ორ არჩევით მოდულს, ჯამური - 7 კრედიტის მოცულობით.

სარესტორნო მომსახურებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, საჭიროა ჯამურად 74 კრედიტის დაგროვება.

- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობაა -104-- კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგძლივობა ---24-- თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობაა 74 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგძლივობა -18--- თვე
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში პროგრამის მოცულობაა -132- კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგძლივობა -26-- თვე
- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში პროგრამის მოცულობაა 102 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგძლივობა -20--- თვე.
-

სკოლამდელი აღზრდა (ხორციელდება ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის ლოკაციებზე)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება სკოლამდელი აღზრდა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ ენაზე პროგრამის დასრულების შედეგად პირს მიენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს - სრული ზოგადი განათლების ქონა.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

სრუქტურა და მოდულები

სკოლამდელი აღზრდის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 116 კრედიტი, რომელთაგან 11 კრედიტი არის ზოგადი მოდულები და 105 კრედიტის მოცულობით სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

სკოლამდელი აღზრდის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
- ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
- წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

სწავლების ხანგრძლივობა

სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 22 სასწავლო თვეს.

ბუღალტრული აღრიცხვა (ხორციელდება ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის ლოკაციებზე)

პროგრამის სახელწოდება ბუღალტრული აღრიცხვა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები 20 სასწავლო თვე, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა მოიცავს 3 ზოგადი მოდულს 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს 88 კრედიტის მოცულობით.

ბუღალტრული აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 99 კრედიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს და შრომის ბაზარს შესთავაზებს კვალიფიციურ ბუღალტერს, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

ბუღალტრული აღრიცხვის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა
- შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები)
- აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები
- შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება
- აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით
- აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე
- აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა

- შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

მეხილეობა

პროგრამის სახელწოდება მეხილეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები 19 თვე/ 105 კრედიტი (ქართული ენის მოდულით)

პროგრამის მიზანი პროგრამის მიზანია მეხილეობის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ ორგანიზაციებში, აგრეთვე შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული და მართავდეს საკუთარ მეურნეობას.

სწავლის შედეგი პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება :

- მართოს ფერმერული მეურნეობა;
- გააშენოს და მოუაროს ჩაის პლანტაციას;
- უზრუნველყოს ხეხილის სხვლა-ფორმირება;
- უზრუნველყოს ხეხლის დაცვა;
- აიღოს მოსავალი;
- დაგეგმოს და განახორციელოს პროდუქტის პირველადი მიღება-რეალიზება.
- აწარმოოს ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალა;
- შეაფასოს და დაამუშაოს ნიადაგი;
- აწარმოოს ჩაის ნერგის სარგავი მასალა;
- მონაწილეობს საბაღე ფართობის ტერიტორიულ მოწყობაში;
- უზრუნველყოს ჩაის ფოთლის პირველადი მიღება.

მებაღეობა

პროგრამის სახელწოდება მებაღეობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში

სწავლის ხანგრძლივობა და კრედიტები 18 თვე/ 100 კრედიტი (ქართული ენის მოდულით)

პროგრამის მიზანი პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის მებაღეობის ტექნოლოგიებსა და მენეჯმენტს, მეყვავილეობას, სასათბურე მეთოდებს, სანერგეების მართვას და სხვა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ბოტანიკურ ბაღში, ქალაქის გამწვანებასა და კეთილმოწყობის სამსახურში, პარკებში, სკვერებში, დეკორატიული მცენარეების სანერგე მეურნეობებში, დახურული გრუნტისა და სასათბურე მეურნეობებში, სამშენებლო კომპანიაში და დიზაინერული პროფილის ოფისებში. კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს შემდეგ პოზიციებზე: მებაღე, ლანდშაფტის მებაღე, ბაღის მომვლელი, გაზონის მთიბავი, სანერგეს მეურნეობის დამხმარე.

სწავლის შედეგი პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება :

- დაამუშაოს ნიადაგი
- დარგოს და მოუაროს მცენარეებს ღია და დახურულ გრუნტში
- უზრუნველყოს დეკორატიული მცენარეების გენერაციული, ვეგეტატიური და ქსენოვეგეტატიური გზით გამრავლება
- უზრუნველყოს დეკორატიული ხეების, ხეხილის, დეკორატიული ბუჩქების, კენკროვანი ბუჩქების, ხვიარა მცენარეების, ვარდების სხვლა-ფორმირება
- მოაწყოს გაზონი, სარწყავი სისტემა, წყლის სარკეები, ბილიკი, კიბე, მოედანი
- დაგეგმოს და განახორციელოს ბაღის სხვადასხვა მხატვრული ელემენტებით (ყვავილნარი, ალპინარიუმი, როკარიუმი) მოწყობა.

სატყეო საქმე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სატყეო საქმე;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია - შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების შესაძლებლობები - სატყეო საქმის სპეციალისტის პროფესია გულისხმობს ტყეში, ღია ცის ქვეშ რთულ ოროგრაფიულ და კლიმატურ პირობებში არასტანდარტული კომუნიკაციით და სამუშაო რეჟიმით მუშაობას, სატყეო სამეურნეო

ღონისძიებების უსაფრთხოდ განხორციელებას. პირს შეუძლია დასაქმდეს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობა

სრული ზოგადი განათლება;

სწავლის შედეგები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე" კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მოამზადოს სატყეო სამუშაოს ჩატარებისთვის ლოკაცია;
- ისარგებლოს ტყის მერქნული რესურსით;
- დაამზადოს და დაახარისხოს ხე-ტყე;
- დაამზადოს ტყის არამერქნული რესურსი;
- უზრუნველყოს დამზადებული ხე-ტყის ტრანსპორტირება;
- აწარმოოს ტყის მერქნიან სახეობათა თესლები;
- გაატაროს ტყის აღდგენის ღონისძიებები;

- დაიცვას ტყე ხანძრებისა და მავნებლებისაგან;
- მოაწყოს საფეხმავლო ბილიკები;

კოლეჯი „ჰორიზონტი" რეავტორიზაციის პროცესის ფარგლებში ამზადებს განაცხადებს ახალი და მოთხოვნადი პროფესიული პროგრამებისთვის, რომლებიც განხორციელდება შემდეგ ლოკაციებზე:

📍 ოზურგეთი:

- **კომპიუტერული ქსელები და სისტემები**
- **ბუღალტრული აღრიცხვა**
- **ვიზაჟის მომსახურება**

- **მოდის ტექნოლოგია და დიზაინი**
- **სარესტორნო მომსახურება**
- **სასტუმროს მომსახურება**
- **სკოლამდელი აღზრდა**
- **თმის მომსახურება**

📍 **ჩოხატაური:**

- **კომპიუტერული ქსელები და სისტემები**
- **სატყეო საქმე**
- **სკოლამდელი აღზრდა**

📍 **ლანჩხუთი:**

- **მოდის ტექნოლოგია და დიზაინი**
- **სასტუმროს მომსახურება**
- **სკოლამდელი აღზრდა**

კოლეჯი „ჰორიზონტი" აგრძელებს განათლების სფეროში ინოვაციური და პრაქტიკული პროგრამების განვითარებას, რათა პროფესიულ სტუდენტებს შეეძლოთ მიიღონ თანამედროვე ცოდნა და უნარები შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიული განათლების ფარგლებში.

დაასკანერეთ QR კოდები და იხილეთ ჩვენი ფეისბუქ და ინსტაგრამ გვერდები:

FACEBOOK

INSTAGRAM

კოლეჯი „ჰორიზონტი"